საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მაცნე
ИЗВЕСТИЯ АКАДЕМИИ НАУК ГРУЗИНСКОЙ ССР

ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია

СЕРИЯ ИСТОРИИ, АРХЕОЛОГИИ, ЭТНОГРАФИИ И ИСТОРИИ ИСКУССТВА

თბილისი
ТБИЛИСИ

2. 1983

ნინო აბაკელია

ცის თაყვანისცემა დასავლეთ საქართველოში

(ღვთაება „ჟინი ანთარი“)

„ჟინი ანთარი“ ღვთაების სახელია, რომლის მიმართ სამეგრელოში ყოველწლიურად სრულდებოდა კულტმსახურება. პირველი აღწერილობა რიტუალისა, რომელიც ამ ღვთაების მიმართ ტარდებოდა, ფიქსირდება XX ს-ის პირველ ნახევარში[1]. აღწერილობიდან ვგებულობთ, რომ დიდმარხვის წინა დღეს (აღებ ღამეს) ჟინი ანთარისადმი სრულდებოდა წესი[2] კეთდებოდა შესაწირი, დიდი ზომის ოთხკუთხედი ფორმის პურის სახით, რომლის შუაგულში იდებოდა კონუსისებური ყველი ფუძით ზემოთ. რიტუალს ატარებდა ოჯახის უფროსი მამაკაცი. იგი კერაზევე დაჭრიდა პურს რამდენიმე კვადრატულ ნაჭრად და წარმოსთქვამდა ლოცვას: „ზეციერო ანთარო, ბატონო გამარჯვებულო! ჩემი საქონელი შენ გაამრავლე! ასობით ვიჭერდე და არაფერი აკლდებოდეს. უშობელსა და ხბოიანს ვერ ვარჩევდე ისე“[3].

ამ აღწერილობამ თავის დროზე მკვლევართა ყურადღება მიიპყრო და საფუძველი გახდა მრავალი მოსაზრებისა ჟინი ანთარის ბუნების შესახებ. კვლევა ხემოხსენებული ღვთაების ბუნების დასადგენად ორი მიმართულებით მიმდინარეობდა მკვლევართა ერთი ჯგუფი ღვთაების რაობის გაგებას თვით ამ ღვთაების სახელის ამოხსნაში[4], მეორე — კი „გასაღებს“ ღვთაების ფუნქციების ლოგიკაში ხედავდა[5].

---

[1] П. Кобалия. Из мифической Колхиды, СМОМПК, т. 32, 1903, გვ. 99; И. Кипшидзе. Грамматика мингрельского (иверского) языка. СПб., 1914, გვ. 194.

[2] ამ წესს აღგილობრივი მოსახლეობა უწოდებს „ლოცვას“, რომელშიც ივულისხმება არა მარტო ღვთაების სადიდებლად წარმოთქმული ფორმულა, არამედ გარკვეული რიტუალური ქმედებანი და ნიშნავს ამათუიმ ღვთაებისადმი ჩატარებულ მსახურებას.

[3] П. Кобалия, დასახ. ნაშრომი, 1903, გვ. 99; И. Кипшидзе, დასახ. ნაშრომი, 1914. გვ. 194; ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, 1960, ტ. I, გვ. 82—84; ს. მაკალათია, ჯვარ მისარონის კულტი ძველ საქართველოში, თბ., 1938, გვ. 10—11; აკ. ჭანტურიას 1925—38 წწ. სამეგრელოს ლექსიკონები (მასალა მოგვაწოდა არიანე ჭანტურიამ, რისთვისაც გვინდა მადლობა გადაეუხადოთ); ს. მაკალათია, სამეგრელოს ისტორია და ეთნოგრაფია, თბ., 1941, გვ. 329; მ. მაკალათია, მესაქონლეობასთან დაკავშირებული რწმენა-წარმოდგენები სამეგრელოში, გვ. 83—84; კრ-ში: სამეგრელო (მასალები სამეგრელოს ეთნოგრაფიული შესწავლისათვის), თბ., 1979.

[4] И. Кипшидзе, დასახ. ნაშრომი, 1914, გვ. 194; ივ. ჯავახიშვილი, დასახ. ნაშრომი, 1960. გვ. 82—84; П. Джанашиа, Религиозные верования Абхазов, ХВ,; т. IV, Петербург, 1917, вып. I, გვ. 80; ს. მაკალათია, დასახ. ნაშრომი, 1941, გვ. 10—11; ა. ჭინჭარაული, მთას ვიყავ, თბ., 1980, გვ. 176—177.

[5] თ. ოჩიაური, მითოლოგიური გადმოცემები აღმ. საქართველოს მთიანეთში, 1967. გვ. 72; თ. ოჩიაური, ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, 1975; ნ. თოფურია, ქარ-

გამოთქმულ იქნა მრავალი მოსაზრება. ყველაზე ვრცელ ინტერპრეტაციას ჟინი ანთარზე, რომელზე დაყრდნობითაც შემდგომ იგება ახალი მოსაზრებები, გვაძლევს ივ. ჯავახიშვილი, რომლის მიხედვითაც მეგრული „ანთარი", ხევსურული „ანატორი" და აფხაზური „აჲთარი" ერთი და იგივე ღვთაება უნდა იყოს. მისი აზრით „აჲთარ" შესაძლოა წარმომდგარიყო „ანთარისაგან" მეგრულ ნიადაგზე, სადაც „ნ" ჯერ „ლ"-დ ქცეულა, შემდეგ „ლ"-საგან „ჲ"-ს ვიღებთ მონაზვნის ანალოგიურად (მეგრ. „მალაზონი" — მაჲაზონი" და ა. შ.).

ამ ღვთაების სახელის უძველეს და სრულ სახედ ივ. ჯავახიშვილი თვლიდა ხევსურულ „ანატორს", რომელიც, მისი აზრით, აგებულების მიხედვით უნდა რთული ორნაწილედი სიტყვა ყოფილიყო, რომელიც შედგებოდა „ანა" და „ტორ"-ისაგან, სადაც პირველი ნაწილი „ანა" უდრის აფხაზურ „ან"-ს ღმერთს (პ. ჭარაია) და სუმერულს „ან", „ანნა", ბაბილონურს „ანუ", „ანოს" ზეციურ ღვთაებას (შრედერი). მეორე ნაწილი უდრის არამეულში გავრცელებულ საკუთარ სახელს ტური (turi, რომელიც, აგრეთვე, რთულ ორნაწილედ სიტყვებში იხმარება, როგორც მაგ.: „სიკტური", და აფხაზურს მიმსგავსებული „სილტური" (შრედერი). ივ. ჯავახიშვილის აზრით, ბერძნული გვარეულობის ღვთაებაც „აპატური" („თეოს აპატუროს"), რომლის განთქმული სალოცავი შავი ზღვის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაპირსაც ყოფილა, იმგვარადვე უნდა იყოს აგებული, როგორც ქართული ანატორი[6].

გამოთქმულია მოსაზრება, რომლის მიხედვითაც „ჟინი ანთარი" მეგრელთა მესაქონლეობის ღვთაებაა და რომ ანთარი იგივე აფხაზური „აჲთარია". „ჟინი" მეგრულად უმაღლესს, ზეციურს ნიშნავს. აფხაზურში ამის აღმნიშვნელია „ხიხ". მაგრამ აფხაზებმა თითქოს-და დაანაწევრეს ანთარი და მიიღეს ორი ღმერთი: აჲთარი და ხიხ ამ უკანასკნელს მიმართავენ გაზაფხულზე, როდესაც საქონელს მიერეკებიან მთის საძოვრებზე. მას ლოცულობენ სახლს გარეთ, ხეების ქვეშ[7].

არსებობს აზრი, რომ „ჟინი ანთარი" — ირანული „ათარის" მსგავსია, ე. ი. ცეცხლის ღვთაებაა, რომელიც თავის მხრით, ოჯახისა და კერის მფარველი იყო[8].

ღვთაების ფუნქციებიდან გამომდინარე, ნ. თოფურიას მიაჩნია, რომ „ჟი-

---

თული საბჭოთა ენციკლოპედია, 1975; ა. ცანავა, ქართული ზეპირსიტყვიერების საკითხები, 1970, გვ. 29-30; გ. ელიავა, აბაშის და გეგეჭკორის რაიონების ტოპონიმია, 1977, გვ. 13; მ. მაკალათია, დასახ. ნაშრომი, 1979, გვ. 63.

[6] ივ. ჯავახიშვილი, დასახ. ნაშრომი, 1960, გვ. 82—84. (ап-თან დაკავშირებით იხ. Ш. Д. Инал-Ипа, Вопросы этнокультурной истории абхазов, Сухуми, 1976., გვ. 142—143).

ვ. ბარდაველიძის არქივზე მუშაობისას წავაწყდით ფრაგმენტულ მასალას, რომლის გაცნობამაც გვაფიქრებინა, რომ ვ. ბარდაველიძე იზიარებდა ივ ჯავახიშვილის შეხედულებას ანთარის, აჲთარის და ანატორის იდენტურობის შესახებ, და, თავის მხრით, მათ ჯგუფში შეჰყავდა ღვთაება „ტარ-ჭაბუკი". ყველა ამ ღვთაებებს იგი აერთიანებდა დარ-ავდრის განმგებლისა და მომარი ღვთაების ნიშნით (ვ. ბარდაველიძე, 1931, 1945 წწ. ხელნაწერი, დაცული ეთნოგრაფიული სექტორის ხელნაწერთა არქივში).

[7] Н. Джанашиа, დასახ. ნაშრომი, 1917, გვ. 80. აჲთართან დაკავშირებით იხ. Инал-Ипа, Абхазцы, Сухуми, 1960, გვ. 338—339.

[8] ს. მაკალათია, დასახ. ნაშრომი, 1938, გვ. 10—11.

ნი ანთარი“ საქონლის მფარველი, წარმართული ღვთაებაა და მონათესავეა „ანატორისა“ და „აჲთარის“[9].

თ. ოჩიაურის აზრით, ხევსურული „ანატორის ჯვარი“ „წმინდა“ ნადირის, ჯიხვის, არჩვის და სხვა გარეული ცხოველის მფარველი ღვთაება მეგრული „ჟინი ანთარისა“ და აფხაზური „აჲთარის“ მონათესავე ღვთაება უნდა იყოს. და თუ დასავლეთ საქართველოში ეს ღვთაება უკვე შინაური წვრილფეხა საქონლის მფარველად გვევლინება, ხევსურეთში ის ჯერ კიდევ წვრილფეხა საქონლის — გარეული თხებისა და ჯიხვ-შუნების მფარველის როლში გამოდის. ხევსურეთში მას უფრო არქაული სახე და ფუნქციები აქვს შენარჩუნებული, იმდენად, რამდენადაც ცხოველურ სახესთან აიგივებენ და გარეულ ნადირთა მფარველობას მიაწერენ[10].

გამოთქმულია საპირისპირო მოსაზრებებიც, კერძოდ ა. ცანავას მიერ. რომლის თანახმად „ჟინი ანთარი“ შინაური ცხოველების მფარველი ღვთაებაა და მას არ ემორჩილებიან, როგორც „ანატორს“, გარეული წვრილფეხა ნადირები. მკვლევრის აზრით, „ჟინი ანთარს“ არც ფუნქციისა და არც ეტიმოლოგიურ-სემანტიკური თვალსაზრისით კავშირი არა აქვს ანატორთან. ისინი, მისი აზრით განსხვავებული სხვადასხვა დარგის ღვთაებათა წარმომადგენლები არიან[11].

არსებობს ზოგადი დებულება, რომ ქრისტიანობის გავრცელების შემდეგ „ჟინი ანთარი“ წმ. გიორგით ჰყავდათ წარმოდგენილი[12].

გამოთქმულია მოსაზრება, რომლის თანახმად მეგრული „ჟინი ანთარის“ რიტუალში ნათლად აისახა კერისა და მიწიერი ცეცხლის კულტი, რომელიც მჭიდროდ არის შერწყმული „ჟინი ანთარის“, ანუ ციური ცეცხლის კულტთან. კერის ცეცხლთან უნდა ყოფილიყო ასოცირებული ოჯახის მფარველი მამაკაცური ბუნების მქონე ღვთაების კულტი. ამ ღვთაების ძირითად ფუნქციებს წარმოადგენდა ადამიანისა და საქონლის მფარველობა. და გამრავლება, რაც მეგრელთა რწმენით, მდედრული კერისა და მამრული მიწიერი და ციური ცეცხლის ურთიერთკავშირით მიიღწეოდა[13].

ამ ბოლო დროს სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულ იქნა აზრი, რომ ისტორიკოსები და ეთნოგრაფები „ანატორს“ და ღვთაება „ჟინი ანთარს“ არასწორად უკავშირებენ ერთმანეთს, რადგან „ანატორი“ ადგილის სახელია და არა ხატისა. აქ „ანატორს“ კი არა მთავარანგელოზს ლოცულობენ. „დიდო ანატოროო“ კი არ ამბობენ ხევსურები (როგორც ამას მეგრელები აკეთებენ — „ჟინი ანთარი“! — ზენა ანთარი), არამედ დიდო ანატორის ჯვაროო. გუდანის ჯვარი, ჯაჯმატის ჯვარი, ანატორის ჯვარი და სხვა მრავალი, ადგილის მიხედვით შერქმეული სახელებია და მათში ან წმ. გიორგის ლოცულობენ, ან დედა ღვთიშობელს, ან რომელიმე სხვა ღვთაებას. „ანატორი“ ტორ-ს უკავშირდება და ისეთივე ტოპონიმია, როგორც „თამარ-ნეფის ნაზურგალი“[14].

როგორც ზემოთქმულიდან გამოჩნდა, ორივე გზა კვლევისა ეტიმოლო-

---

[9] ნ. თოფურია, დასახ. ნაშრომი, 1975.

[10] თ. ოჩიაური, დასახ. ნაშრომი, 1967, გვ. 72.

[11] ა. ცანავა, დასახ. ნაშრომი, 1970, გვ. 29—30.

[12] გ. ელიავა, დასახ. ნაშრომი, 1977, გვ. 13.

[13] მ. მაკალათია, დასახ ნაშრომი, 1979, გვ. 83.

[14] ა. ჭინჭარაული, დასახ. ნაშრომი, თბ., 1980, გვ. 176—177.

გიური თუ ფუნქციური აზრთა სიმრავლეს იწვევს, რომლებიც შემდეგ დებულებებად შეიძლება ჩამოყალიბდეს: 1. მეგრული „ანთარი“, ხევსურული „ანატორი“ და აფხაზური „აძთარ“ ერთი და იგივე ღვთაებებია (ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ნ. ჯ ა ნ ა შ ი ა, ვ. ბ ა რ დ ა ვ ე ლ ი ძ ე, ნ. თ ო ფ უ რ ი ა, თ. ო ჩ ი ა უ რ ი); 2. ჟინი ანთარი ციური ცეცხლის ღვთაებაა (ს. მ ა კ ა ლ ა თ ი ა, მ. მ ა კ ა ლ ა თ ი ა); 3. ჟინი ანთარი მესაქონლეობის მფარველი ღვთაებაა (ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ნ. ჯ ა ნ ა შ ი ა ნ. თ ო ფ უ რ ი ა, თ. ო ჩ ი ა უ რ ი, მ. მ ა კ ა ლ ა თ ი ა); 4. ქრისტიანობის გავრცელების შემდეგ ჟინი ანთარი წარმოდგენილი იქნა წმ. გიორგით (გ. ე ლ ი ა ვ ა); 5. ჟინი ანთარი და ანატორი სხვადასხვა დარგის ღვთაებათა წარმომადგენლები არიან (ა. ც ა ნ ა ვ ა); 6. ანატორი და ჟინი ანთარი არ შეიძლება ერთმანეთს შეუდარდეს, რადგან „ანატორი“ ადგილის სახელია, ხოლო „ანთარი“ — ღვთაების (ა. ჭ ი ნ ჭ ა რ ა უ ლ ი).

ეტიმოლოგიური კვლევის დროს ზემოხსენებულ ავტორებთან აქცენტი ღვთაების სახელის ამოხსნაში ძირითადად გადატანილი იყო „ანთარზე“ და ნაკლებ ყურადღებას იმსახურებდა ეპითეტი „ჟინი“[15]. ჩვენი ყურადღება სწორედ ამ ეპითეტზე შეჩერდა და შევეცადეთ მოგვენახა, როგორც ველზე, ასევე სპეციალურ სამეცნიერო ლიტერატურაში ყველა ვარიანტი, რომელთან ერთადაც გვხვდება „ჟინი“ და ასევე მისი საპირისპირო მნიშვნელობის მატარებელი ეპითეტიანი ღვთაება, რადგან ცნობილია, რომ ღვთაების ეპითეტს მის თაყვანისცემაში დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. ნებისმიერი ლოცვა თუ მსხვერპლშეწირვა ხდებოდა გარკვეული ღვთაების მიმართ, რომელიც ხშირ შემთხვევაში განსაზღვრული იყო რაიმე ტერმინით. რაც, თავის მხრივ, უკვე მანიშნებელი იყო იმისა თუ რა სახის თხოვნით უნდა მიემართა თაყვანისმცემელს, და, ასევე, სათანადოდ რა უნდა მიეღო მისგან[16].

ღვთაების აქცენტირებული ეპითეტი ხშირად მანიშნებელი იყო მისი სივრცობრივი კუთვნილებისა. ხოლო ქართველთა კოსმოგონიური შეხედულებების მიხედვით მთელი აღქმადი სამყარო დაყოფილი იყო ერთმანეთის სა-

---

[15] ეს შესაძლოა ფსიქოლოგიური მომენტითაც იყო განპირობებული, რადგან „ჟინის“ ლექსიკური მნიშვნელობა გასაგები იყო და ითარგმნებოდა, როგორც „ზევითური“, „ზედა“, „ცისა“, ხოლო ანთარისა — არა.

[16] მაგ.: ხევსურეთში დადგენილია წმ. გიორგის 30 ეპითეტი, რომელიც ამ წმინდანის მრავალფეროვან ბუნებას წარმოაჩენენ: გიორგი ნადვრის პირისაჲ, ნაკეშ მაბურთალი ანგელოზი, მინის მინდვრის წმ. გიორგი, კილდის-გორ ზღუბლის ანგელოზი, გიორგი ბერ-მუხას დაარსებული, წმ. გიორგი მთას ლაღი, წვერის ყარაული, სანებაკარის მეზობელი და სხვა მრავალი (В. Б а р д а в е л и д з е, Опыт социологического изучения хевсурских верований, Тифлиси, 1932). წმ. გიორგის ესა თუ ის სალოცავი მისი ამა თუ იმ ფუნქციის უპირატესი გამოვლენის საკულტო ადგილს წარმოაგენდა. სხვადასხვა შემთხვევაში ის განასახიერებდა მცენარეულის კულტს, მწევრავლების, წყლის და ატმოსფერული მოვლენების ღვთაებებს (ა. რ ო ბ ა ქ ი ძ ე, მეფუტკრეობის ისტორიისათვის, თბ., 1960, გვ. 181). ეპითეტთან დაკავშირებით იხ. ა. ლ ე კ ი ა შ ვ ი ლ ი, წმ. გიორგის ქართული კულტის საკითხისათვის, საენათმეცნიერო კრებული, თბ., 1979, 146—152. ზოგადი ლიტერატურიდან მრავლი მაგალითის მოტანა შეიძლება ღვთაებასა და მის ეპითეტებზე: მაგ. Zeus Ombrios და Hiltios — წვიმის მომყვანი, Urios — სასურველი ქარის მომცემი, Astrapaios — მოელვრე, Bronton — მქუხარე, და სხვა. (F a r n e l e, L. R., The cults of the Greek States, vols.4, 5).

პირისპირო სამყაროებად, სკნელებად, რომლებიც განლაგებული იყო ჰორიზონტალურ და ვერტიკალურ ჭრილებში[17].

ჩვენს ხელთ არსებული მასალის მიხედვით, „ჟინი" გვხვდება: 1. ღვთაებების სახელებთან „ჟინი ანთარი" „ჟინიში ორთა" და „ჟინიში". 2. როგორც ავადმყოფობის სახელი „ჟინიშ ხანგა" („ჯინიშ ლეხრენი") „ჟინიში" აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ამ ავადმყოფობას პირდაპირი კავშირი აქვს „ჟინიშთან" და „ჟინის" (ზევითურის) ავადმყოფს, აღმოსავლეთ საქართველოს მთიელთა ანალოგიით „დაჭერილს", „დამიზეზებულს" ნიშნავს[18]. 3. გამოთქმებში: „ჟინის ხვამა" ე. ი. ლოცვა „ზევითურისადმი": „ჟინის მახვამერი" ე. ი. „ჟინის" (ზევითურის) მლოცველი ქურუმი[19].

ზემოთ მოტანილი მასალა რიგ საკითხებს მოიცავს. შემოვფარგლავთ და გამოვყოფთ ღვთაებებს, რომელთან ერთადაც იხმარება „ჟინი" და მისი საპირისპირო ეპითეტები.

ლიტერატურიდან ცნობილია[20], რომ ღვთაება „ჟინი ანთარისადმი" მსახურება ტარდებოდა ფიქსირებულ დღეს, უფრო ზუსტად, გაზაფხულზე, დიდმარხვის წინა ღამეს (აღებ ღამეს). ველზე მუშაობისას გამოვლინდა, რომ აღებღამე ერთადერთ დღეს არ წარმოადგენდა ღვთაებისადმი ლოცვის (კულტმსახურების) ჩასატარებლად[21].

აღმოჩნდა, რომ ერთ შემთხვევაში თუ კულტმსახურება ფიქსირებულ დღეს (აღებ-ღამეს) ტარდებოდა, როგორც ეს ლიტერატურიდანაცაა ცნობილი, ახლა შემთხვევაში საჭიროების მიხედვით. მაგ.: როდესაც ხელსაყრელი ამინდი არ იყო, ავადმყოფობის თავიდან ასაცილებლად, მთაში წასვლამდე და სხვ. აქედან გამომდინარე „ჟინი ანთარს" სთხოვდნენ: საქონლის სიმრთელეს, ჯანმრთელობა-გამრავლებას, სასურველ ამინდს ავადმყოფის გამოჯანმრთელებას, ოჯახში სიკეთეს და სხვა, შესაბამისად იმისა თუ რა საჭიროება იყო. მასალა „ჟინი ანთარზე" იძლევა ამინდის განმგებელი, ადამიანის ჯანმრთელობის დამცველი და მოსამართლე ღვთაების სურათს (მისი მოსამართლეობრივი ფუნქციები ჩანს ქცევის ნორმის[22] დარღვევის შემთხვევაში, როდესაც ის სჯის

---

[17] G. Surguladze. Concerning the empirical cosmogouy of the Caucassian peoples. X International Congress of Antropological Sciences, Dehli, India, Dec., 10—21, 1978, Moscow. ამ საკითხთან დაკავშირები ასევე იხ. ზ. კიკნაძე, არწივი და სამი სკნელი:, „მაცნე", ენისა და ლიტერატურის სერია, № 4, 1973.

[18] აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, აღმოსავლეთ საქართველოს მთიელებზე იხ. თ. ოჩიაური, ქართველთა უძველესი სარწმუნოების ისტორიიდან, თბ., 1954; М. Канделаки, «Хелосани» у горцев Восточной Грузии, Сообщения Академии наук Грузинской ССР, 95, № 3, 1979; ნ. მინდაძე, ქართული ხალხური მედიცინა, თბ., 1981.

[19] 1978—79 წწ. საველე დღიურები (წალენჯიხის, ჩხოროწყუს, გეგეჭკორის ცხაკაიას, ზუგდიდის რაიონები).

[20] И. Кобалия, დასახ. ნაშრომი, 1903, И. Кипшидзе, დასახ. ნაშრომი, 1914; ივ. ჯავახიშვილი, დასახ. ნაშრომი, 1960; ს. მაკალათია, დასახ. ნაშრომი, 1941; ზ. კვირტია, „ჟინი ანთარი", „ნაპერწკალი", 20, VIII, 1978; მ. მაკალათია, დასახ. ნაშრომი, 1979.

[21] 1978-1979 წწ. საველე დღიურები (წალენჯიხის, ჩხოროწყუს, გეგეჭკორის, ცხაკაიას, ზუგდიდის, რაიონები).

[22] ქცევის ნორმის დარღვევაში, ამ კონკრეტულ შემთხვევაში, იგულისხმება ქურდობა, ხატზე გადაცემა, ან რაიმე სხვა ცოდვის ჩადენა.

[23] ივ. ჯავახიშვილი, დასახ. ნაშრომი, 1960, გვ. 115.

დამნაშავეს, რაც გამოიხატება ან მეხის დაცემაში ან ავადმყოფობაში და ა. შ.)[24].

აქედან გამომდინარე, მივიღეთ ღვთაების დახასიათება, რომელიც ერთი მხრით, მესაქონლეობის მფარველია, მეორე მხრით, კი მისი ატრიბუტებისა (ჭექა-ქუხილი ელვა, მეხი) და ბუნებიდან გამომდინარე ცის განმგებელი ღვთაებაა, რომელიც გარკვეული აზრით მორალურობის მატარებელია.

ერთი შეხედვით, თითქოს-და შეუსაბამობაა ღვთაების ბუნებაზე არსებულ მოსაზრებებსა და ახალ შედეგს შორის. მაგრამ, ვფიქრობთ, ეს მოჩვენებითი შეუსაბამობა, წინააღმდეგობა, იხსნება ივ. ჯავახიშვილის მოსაზრებით, რომლის მიხედვითაც „ჟინი ანთარი“ და „ჟინიში ორთა“ ერთმანეთის იდენტურია. რადგან „ანთარის“ ბოლოკვეცილ და „ანთა“-დ ქცეული ფორმისაგან უნდა იყოს წარმომდგარი (ნადირთა მფარველი) ღვთაება „ორთას“ სახელიც. იმის გამო, რომ „ორთა“ ღვთაება „ანთარის“ ფონეტიკური სახეცვლილი სახელი იყო, განაგრძობს მკვლევარი, ამიტომ მასაც, ისევე როგორც ანთარს „ჟინიშ ორთას“ უწოდებენ[23]. ხოლო თავისი მხრით, „ჟინიიშ ორთა“ ანუ „ზევითურის განმგებელი“, როგორც მას ი. ქობალია და ი. ყიფშიძე განმარტავენ, არის ჭექა-ქუხილისა და მეხის განმგებელი ღვთაება[24]. მის მიმართ მსახურება ტარდებოდა ტყეში, ხეების ქვეშ. შესაწირი იყო ორი ჭადის კვერი და ერთი მამალი, რომელსაც ტყავს ბუმბულიანად და ფრთებიანად აძრობდნენ და ჰკიდებდნენ მაღლა ხეზე. ლოცვას საიდუმლოდ ატარებდა ოჯახის უფროსი. ქალების დასწრება აკრძალული იყო. თუ ერთი წლის მანძილზე მეხი მოჰკლავდა ცხოველს ეს მიეწერებოდა „ჟინიში ორთას“ რისხვას[25].

ალბათ ზემოთქმულის ანგარიშგაუწევლობამ მიიყვანა ზემოხსენებული ავტორები ცალმხრივ შედეგამდე.

მესამე (პირობითად მესამე) ღვთაების განხილვისას აღმოჩნდა, რომ „ჟინიშის“ (ზევითურის) ლოცვა ხდებოდა: 1. მეხის დაცემის შემდეგ ან მეხის თავიდან ასაცილებლად; 2. ავადმყოფობის შემთხვევაში; 3. სოფლის მიერ გვალვის ან წვიმების დროს. „ჟინიშის“ ლოცვა წმ. გიორგისადმი „სამსახურის“ ჩატარებით გამოიხატებოდა. ილორში სალოცავად სიარულის ერთ-ერთ მოტივს (მაგრამ, არა ერთადერთს) ჩვენს ხელთ არსებული მასალების მიხედვით, მეხის დაცემის თავიდან აცილება წარმოადგენდა, სადაც შესაწირად მიჰყავდათ ბატკანი, თიკანი, მამლები დაპირების თანახმად[26].

მოვიყვანთ ილუსტრაციას შეკვეცილი სახით, რომელიც სტერეოტიპულია მთელ სამეგრელოში: „ჟინიში“ — ზეციური, რაც მაღლაა იმას ეძახიან. თუ ოჯახში ხეს მეხი დაეცა ეს „ჟინიშის“ რისხვას მიეწერება[27]. „დაზარალებულს“

---

[24] И. Кобалия, დასახ. ნაშრომი, 1903, გვ. 99; И. Кипшидзе, დასახ. ნაშრომი, 1914, გვ. 194.

[25] И. Кобалия, დასახ.ნაშრომი, 1903, გვ. 99.

[26] 1978—79 წწ. საველე დღიურები (წალენჯიხის, ჩხოროწყუს, გეგეჭკორის, ცხაკაიას, ზუგდიდის რაიონები).

[27] მაგრამ აქვე გვინდა აღვნიშნოთ, რომ მეხის დაცემა, როგორც ეტყობა, მარტო ღვთაების რისხვის გამომხატველი არ უნდა ყოფილიყო, რადგან მეხდაცემული ოჯახში უბედური შემთხვევის დროს, შავებს არ იცვამდნენ და არც გლოვა შეიძლებოდა.

უფლება არა აქვს ხეს ხელი ახლოს. ის აუცილებლად სხვამ (უპირატესად მეზობელმა) უნდა მოსჭრას. დაზარალებული მიდის მკითხავთან. მკითხავი აცნობებს, რომ რაღაც პირობაა დარღვეული ან „გადაცემულია ხატზე" და აუცილებელია თავის გამოსყიდვა. „გამოსასყიდი" იქნება თიკანი (ქაცარი). იწვევენ სპეციალურ მლოცავს—„ჟინის მახვამერს". ლოცვა ტარდებოდა ეზოში, სადაც მეხი დაეცემოდა. იშლებოდა მაგიდა, ზედ აფარებდნენ თეთრ უხმარ სუფრას. ასევე უხმარი უნდა ყოფილიყო ყველაფერი — ჭიქა, თეფში, პირსახოცი. მლოცველი სუფრიდან ირჩევდა თითო საგანს და ლოცვის ჩატარების შემდეგ სახლში მიჰქონდა. ჟინი ოხვამერს (ანუ ზევითურის სალოცავს) ყოველ შვიდ ან ცხრა წელიწადში ერთხელ ასრულებდნენ. იცოდნენ ბორძალის მიტანა წმ. გიორგის სახელობის ეკლესიაში[28] ან მის სანაცვლოდ ფულს მიართმევდნენ[29].

ის, ვინც ამ შვიდი ან ცხრა წლის მანძილზე ლოცვას არ შეასრულებდა, „ჟინიში" მას განმეორებით დასჯიდა[30].

რიტუალებისა და ღვთაებების ფუნქციების იდენტურობა საშუალებას გვაძლევს ვივარაუდოთ, რომ „ჟინიში" იგივე „ჟინი ანთარი" იყოს, რომელსაც შესაძლოა ანთარი, როგორც გაუგებარი, მნიშვნელობა დაკარგული ტერმინი ჩამოშორდა და დარჩა მხოლოდ „ჟინიში".

ყოველივე ზემოთქმულის საფუძველზე, „ჟინი ანთარის" „ჟინიში ორთას" და „ჟინიშის" თაყვანისცემა, მსხვერპლშეწირვა, ჩატარებული რიტუალები ერთმანეთს ემთხვევა ისევე, როგორც მათი ეტიმოლოგია. აქედან გამომდინარე, „ჟინი ანთარის", „ჟინიში ორთას" და „ჟინიშის" სახით შესაძლოა საქმე გვქონდეს სამი სახელით შემორჩენილ ერთი და იმავე ცის პოლიფუნქციურ, უზენაეს ღვთაებასთან. რომელიც განვითარების გარკვეულ საფეხურზე განაგებს, როგორც ფიზიკურ სფეროს, ასევე მორალურსაც.

მატერიალური მოქმედების სფეროში, ფუნქციები! მიხედვით არის: 1. შინაური მსხვილფეხა საქონლის მფარველი ღვთაება; 2. ადამიანის ჯანმრთელობისა და კეთილდღეობის მფარველი ღვთაება; 3. ჭექა-ქუხილისა და მეხის განმგებელი ღვთაება, აქედან გამომდინარე, ამინდის განმგებელი; 4. თავისი მეომრული თვისებების გამო იგი შეიძლება ჩაითვალოს მეომარ ღვთაებად, იმდენად რამდენადაც იგი განმგებელია დამსჯელი იარაღისა, მეხის სახით. მას ეწირება ბორძალი, რაც ისრის იდენტურია[31]. ხოლო მისი თაყვანისცემის დროს წარმოთქმულ ფორმულაში იგი მოიხსენიება როგორც „ბატონი გამარჯვებული".

მორალური ნორმების სფეროში, ადამიანის ქცევის წარმმართავი, მსაჯული და დამსჯელი ღვთაებაა. მისი მოსამართლეობრივი ფუნქცია რელიეფურად

---

[28] სამეგრელოში არსებობდნენ ისეთი გვარები, რომელთაც ევალებოდათ ბორძალის შეწირვა ამა თუ იმ სალოცავისათვის. ამის გამო ისინი ან თვითონ სჭედავდნენ ბორძალს ან სხვას აჭედინებდნენ. ადგილობრივი წარმოდგენების თანახმად, ჭექა-ქუხილის დროს წმ. გიორგის თან მიჰქონდა შენაწირი ბორძალი (1978, საველე დღიური, წალენჯიხის რაიონი).

[29] 1978—1979 წწ. საველე დღიური (წალენჯიხის, ჩხოროწყუს, გეგეჭკორის, ცხაკაიას ზუგდიდის რაიონები).

[30] 1978—79 წწ. საველე დღიურები (წალენჯიხის, ჩხოროწყუს, გეგეჭკორის, ცხაკაიას, ზუგდიდის რაიონები).

[31] ისარი, ბორძალი, მეხი ერთ სემანტიკურ ველში შედის.

ჩანს ხატზე გადაცემაში“ და „სასამართლოებში“, რომელიც მისი თანდასწრებით ტარდებოდა[32].

ღვთაების ბუნების უფრო მკვეთრად გამოვლენის მიზნით განვიხილავთ მისგან საპირისპირო ეპითეტებით განსხვავებულ ღვთაებებს, კერძოდ „გალენიშ ორთა“-ს და „თუდონი ნერჩი“-ს.

სალოცავებიდან, საიდუმლო შესრულებით, გამოირჩეოდა „გალენიში ორთას“ მიმართ შესრულებული რიტუალი, რომელიც ლიტერატურაში დეტალურადაა აღწერილი[33]. იგი სრულდებოდა საქონლის სადგომში (ბაკში), რომელსაც სამეგრელოში ეწოდება აგვარა ან ქართა. გაშლილი სუფრის წინ, რიტუალს საიდუმლოდ ასრულებდა ოჯახის უფროსი — მამაკაცი. სუფრაზე დალაგებული იყო შემწვარი ქაცარი (ბამალი თხა), ჩემჰვა (მაწვნისმაგვარი რძის პროდუქტი), ელარჯი, ჭვიშტარი (ყველიანი ჭადი), ახალი ყველი, ღვინო და ა. შ. ოჯახის უფროსი ქუდმოხდილი ლოცულობდა. შემდეგ უჩინარი სტუმრებისთვის ოჯახის უფროსს მოჰქონდა წყალი და „აბანინებდა“ ხელებს. ამის შემდეგ „სტუმრები“ შეექცეოდნენ საკვებს. ოჯახის უფროსი დაჩოქილი უსხამდა მათ ღვინოს. ლოცვის ჩატარება შეიძლებოდა ნებისმიერ დროს გაზაფხულიდან შემოდგომამდე. ლოცვის ფორმულა შემდეგნაირი იყო: „გალენიში ორთა“! დიდებულო და სახელოვანო, ჩემ საქონელზე მოწყალება გაიღე და გამიმრავლე, მოუხარშავ-შეუმწვარ (ცხოველებს) კბილები შეუკარი“[34].

სიტყვა „გალენი“ ნიშნავს „გარეთას“, „ველურს“. გალენიშის ლოცვის ჩატარება იცოდნენ მიცვალებული წინაპრების საპატივცემულოდ, როდესაც ვინმე გახდებოდა სახლში ავად[35].

საველე ეთნოგრაფიული მასალის მიხედვით „გალენიში ორთას“ ლოცულობდნენ: 1. საქონლის დაბადების შემდეგ ერთი კვირის შემდეგ ან როცა იყო საქონელი იცოდნენ ლოცვის ჩატარება. გალენისათვის ყველაფერს აკეთებდნენ რძისაგან. აკეთებდნენ ხაჭაპურს, ელარჯს, ღვინოს გადააქცევდნენ და დაილოცებოდნენ; 2. ადამიანის ავადმყოფობაზე; 3. გალენიშის ლოცვა სრულდებოდა ხატზე გადამცემის მიერ იმ შემთხვევაში თუ გადაცემული ამოწყდებოდა. გადამცემს უნდა ჩაეტარებინა ლოცვა, რათა მას არ მობრუნებოდა წყევლა და არ ამოეწყვიტა. ვინც გადასცემდა, იმასაც თავის დახსნა დასჭირდებოდა; 4. „გალენ შური“ — მიცვალებულის სულია, 5. გალენიში— გარე დასახლებული შვილების სალოცავია[36]; 6. „გალენიშ ტაბაკის“ დაღგმა იციან იმ ოჯახებში, სადაც მიცვალებული იყო და იმ დროს ბავშვი დაიბადე-

---

[32] 1978—79 წწ. საველე დღიურები (წალენჯიხის, ჩხოროწყუს, გეგეჭკორის, ცხაკაიას, ზუგდიდის რაიონები).

[33] И. Кобалия, დასახ. ნაშრომი, 1903, გვ. 99; И. Кипшидзе, დასახ. ნაშრომი, 1914, გვ. 294; ს. მაკალათია, დასახ. ნაშრომი, 1941, გვ. 287; მ. მაკალათია, დასახ. ნაშრომი, 1979, გვ. 74.

[34] И. Кобалия, დასახ. ნაშრომი, 1903.

[35] И. Кобалия, დასახ. ნაშრომი, 1903; И. Кипшидзе, დასახ. ნაშრომი, 1914; ივ. ჯავახიშვილი, დასახ. ნაშრომი, 1960, ს. მაკალათია, დასახ. ნაშრომი, 1941; მ. მაკალათია, 1979.

[36] 1978—79 წწ. საველე დღიურები (წალენჯიხის, ჩხოროწყუს, გეგეჭკორის, ცხაკაიას ზუგდიდის, რაიონები).

ბოდა, 15 დღის შემდეგ დადგამდნენ სულების მოსახსენიებლად ტაბაკს და მიცვალებულის სულებს შესთხოვდნენ ბავშვის კარგად ყოფნას[37].

ზემოთქმულიდან იმის გამოტანა შეიძლება, რომ „გალენიში" იგივე „გალენიში ორთა", როგორც მიცვალებულების სულთა ძალა, სივრცობრივად გარე სამყაროშია მოთავსებული, ჰორიზონტალურ სიბრტყეში[38]. ხოლო ჰორიზონტალურად განლაგებული სამყაროები წინ უსწრებდნენ ვერტიკალურად განლაგებულ სამყაროებს[39].

ეხლა განვიხილოთ ღვთაება „ნერჩისადმი" ჩატარებული კულტმსახურება, რომელიც დიდმარხვამდე ოცდახუთი დღით ადრე, ოთხშაბათ დღეს სრულდებოდა და რომელსაც სხვაგვარად „ოჯუმშხური" ანუ ოთხშაბათის ლოცვა ეწოდებოდა. სალოცავ რიტუალს საიდუმლოდ ატარებდა ქალი, რომელიც (სახლის) წინა და უკანა კარებზე ანთებდა ორ-ორ სანთელს სანამ ეს სანთლები ჩაიფერფლებოდა დიასახლისი შეექცეოდა ამ დღისათვის სპეციალურად გამომცხვარ ოთხ კვერს, ამის შემდეგ აღებდა კარებს. ვახშმისათვის აუცილებლად ცხვებოდა დიდი ლობიო-პური (აუცილებლად ჭვავის ფქვილისაგან), რომელიც იდებოდა ხის თეფშზე (ნისორი) და იდგმებოდა მიწაზე სახლის აღმოსავლეთ კუთხეში და ახსენებდნენ ღვთაება „ნერჩის" — „ნერჩი პატენი"[40], რომელიც ლიტერატურაში მიწის ღვთაებადაა მიჩნეული[41]. სიტყვა „ნერჩი" საქართველოს სხვა კუთხეებშიც ყოფილა გავრცელებული და გამოიყენებოდა რაიმე საგნის ძირის, ფსკერის აღსანიშნავად[42].

ამ საკითხებთან დაკავშირებით მიზანშეწონილად მიგვაჩნია გავიხსენოთ საინტერესო ჩვეულება „შქაშინერჩის" ან „ლუბაშ კვერის" სახელწოდებით ცნობილი, რომელიც სრულდებოდა სამეგრელოში მელოგინე ქალისათვის. ცხვებოდა ოთხი კვერი, რომელსაც ზემოდან დააღებდნენ მამლის თავს. მელოგინეს ბებია დაბალ სკამზე დასვამდა, აიღებდა მამლის თავიან კვერს და მელოგინეს ფეხებში სამჯერ გამოუტარებდა და თან ლოცვას წარმოსთქვამდა. ქალებს რომლებიც მშობიარობას ესწრებოდნენ ყველას უნდა გაემეორებინა ეს ლოცვა ამ წესით. ეს წესი ყველას უნდა შეესრულებინა, რადგან წინააღმდეგ შემთხვევაში (მომავალში) ბავშვი უნაყოფო იქნებოდა[43].

ყველაფერი ზემოთქმული შეიძლება შემდეგნაირად შეჯამდეს: „ეინი ანთარი||ჯინიში ორთა"||ჯინიში", „გალენიშ ორთა||„გალენიში" და „თუდონი ნერჩი"||ნერჩი პატაკმი" სამი საპირისპირო სამყაროს წარმომადგენლები არიან და თავის მხრით, უპირისპირდებიან შინა, მოწესრიგებულ სოციალურ გარემოს, რომელშიც ადამიანთა საზოგადოებაა. სივრცობრივად ისინი შემოეგნაირად

---

[37] სოფლის, წალენჯიხის, რაიონი, 1979 წ., მთხრ.: ბერიშვილი მამია სანდროს ას., 70 წლის (მასალა მოგვაწოდა ნ. კაპანაძემ).

[38] აღმოსავლეთ საქართველოს მთიელებზე იხ. George Charachidzé, Le Système Religieux де la Georgie Paienne, Section 4. Relations avec le monde des morts, 1968, Paris.

[39] G. Surguladze, Concerning the empirical cosmogony of the Caucassian peoples, X International Congress of Antropological Sciences, Dehli, India, Dec., 10—21, 1978, Moscow.

[40] И. Кобалия, დასახ. ნაშრომი, 1903, გვ. 5.

[41] ივ. ჯავახიშვილი, დასახ. ნაშრომი, 1960, გვ. 130.

[42] ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, თბ., 1958, ტ. 5; სულხან-საბა ორბელიანი, ლექსიკონი ქართული, თბ., 1966.

[43] ს. მაკალათია, დასახ. ნაშრომი, 1941, გვ. 274—275.

ლაგდებიან: „ჟინიში“ და „თუდონი“ ვერტიკალურ ღერძზე თავსდება. „გალენიში“ ანუ „გარე სამყარო“ და „შინა“ ანუ სამყარო, რომელშიც ადამიანები არიან — ჰორიზონტალურში.

„ჟინი ანთარისა“ და „თუდონი ნერჩის“. თაყვანისცემაში საქმე გვაქვს ბუნებრივი ფენომენის ამ შემთხვევაში განუყოფელი, მაგრამ საპირისპირო წყვილის, ცისა და დედამიწის, თაყვანისცემასთან, რომელიც, თავის მხრივ, ემყარება ბუნებრივი ელემენტის პერსონიფიკაციას.

„გალენიში ორთას“ სახით საქმე გვაქვს მიცვალებულთა თაყვანისცემასთან, რომელიც ემყარება ვარაუდს, რომ გარდაცვლილთა სულები სიკვდილის შემდეგ გადიან სოციალური სამყაროდან და ზემოქმედება შეუძლიათ ცოცხლებზე. ორივე, როგორც ბუნებრივი ფენომენების პერსონიფიკაცია, ასევე მიცვალებულთა თაყვანისცემა რელიგიის განვითარების ადრინდელი საფეხურებისთვისაა დამახასიათებელი.

ამ სამყაროებს შორის კავშირის სიმბოლურ გამოხატულებას წარმოადგენს ხე, რომელსაც ეწირებოდა მამალი, უნივერსალურ სიმბოლოს — არესის ტყეში ზევსისადმი შეწირული ოქროს ვერძი, რომელსაც დარაჯობს გველეშაპი (ქვესკნელის წარმომადგენელი)[44].

„ჯინი ანთარის“ სახით შესაძლოა საქმე გვქონდეს ისეთივე ცის ღმერთთან, როგორიც გვხვდება ბაბილონურ, ვედურ, ბერძნულ, რომაულ და სხვა რელიგიებში ე. ი. შესაძლოა საქმე გვქონდეს ზოგად, უნივერსალურ მოვლენასთან, რომელიც სამეგრელოს კონკრეტულ ვითარებაში „ჟინი ანთარის“ სახითაა წარმოდგენილი. თვითონ ამ ღვთაების ხასიათი და ატრიბუტები, მისი ფუნქციები, ისევე როგორც მისი სახელწოდება ხსნის მის წარმომავლობას.

„ჟინი ანთარი“, როგორც ცის ღვთაება შესაძლოა კოლხური ღვთაება იყოს. კოლხური რელიგია, როგორც ყოველი რელიგია თავის ადრინდელ ფაზებში ემყარებოდა ბუნების უშუალო პერსონიფიკაციას.

ლიტერატურული წყაროებისა[45] და არქეოლოგიური მონაპოვრების მიხედვით ძველი კოლხები თაყვანს სცემდნენ დედამიწასა და ცას. გამოთქმულია აზრი, რომ ანტიკური ეპოქის კოლხური მითოლოგიის მიხედვით გეა-დედამიწა ითვლებოდა ყველა კოლხური ღვთაების დასაბამად, ხოლო ცა გამოდიოდა, როგორც მამაკაცური საწყისი, რომელიც ანაყოფიერებდა მიწას[46].

ამრიგად, შეიძლება იმის დაშვება, რომ ცის უბრალო პრიმიტიული პერსონიფიკაციიდან დაწყებული, კოლხურმა რელიგიურმა აზროვნებამ გაიარა ევოლუცია და მივიდა ანთროპომორფულ, დასრულებულ, დიდებულ ღვთაებამდე, რომლის ერთ-ერთმა ემანაციამ (მაგრამ არა ერთადერთმა) ქრისტიანობის გავრცელების შემდეგ მიიღო სინკრეტული ხასიათი და წმ. გიორგის სახით იქნა წარმოდგენილი. დროთა მსვლელობაში მისი თავდაპირველი ციური სახიერება

---

[44] ხეზე, როგორც სამყაროების მაკავშირებელ სიმბოლოზე იხ. ზ. კიკნაძე, დასახ. ნაშრომი, 1973; ი. სურგულაძე, დასახ. ნაშრომი, 1978; L. Jardan, The tree of light Uppsala, 1972, Cook R., The tree of life: the symbol of the center, London, 1974, Myths, rites symbols: A Mircea Eliade Reader, vol. 2.

[45] Аппоний Родосский, Аргонавтика, Тб., 1964; Г. С. Читаия, О некоторых основных чертах древнеколхской культуры, в сборнике «Europa et Hungaria Budapest, 1965, გვ. 377.

[46] Г. Лордкипанидзе. Колхида, Тб., 1978, გვ. 121.

სულ უკანა პლანზე გადადიოდა, ბუნდოვანი ხდებოდა. ხოლო რელიგიური აზროვნების უფრო მაღალმა აღმაფრენამ თანდათანობით ჩამოაყალიბა წმ. გიორგის წარმოსადეგი და ძლევამოსილი ფიგურა.

Н. К. АБАКЕЛИЯ

ПОЧИТАНИЕ НЕБА В ЗАПАДНОЙ ГРУЗИИ

(Божество «Жини Антари»)

Резюме

Суммируя данные литературы, археологии и полевого материала, можно придти к выводу, что идентичность функций и ритуалов, а также этимологии божеств «Жини Антари», «Жиниши Орта» и «Жиниши» дают возможность предположить в лице вышеназванных божеств одно полифункциональное, персонифицированное верховное божество Неба, которое дошло до нас под тремя именами; в его функции входило управление физической и моральной сферами, что имело строго определенное место в религиозной системе верований мегрелов.

Исследуя сущность и характер божества, мы получили также четкую космогоническую картину мироощущения местного населения, что резюмируется следующими положениями.

Весь воспринимаемый мир, по мнению мегрелов, делится на четыре сферы-царства, где верхнее царство (т. е. царство верховных божеств — божество «Жини Антари»), потустороннее царство (божество «Галениши Орта») и подземное царство, подземелье (божество «Тудони Нерчи») противопоставляются внутреннему, социально организованному миру, обществу людей.

Данные археологии и литературные источники дают возможность предположить, что «Жини Антари» могло быть древнеколхским божеством Неба.

Таким образом допускается, что из простой, примитивной персонификации неба религиозное мышление древних колхов эволюционировалось и вылилось в антропоморфный, усовершенствованный образ божества, которое после распространения христианства синкретизировалось и предстало в виде Святого Георгия. Нужно заметить, что этот образ является одной (но не единственной) эманацией неба. В ходе времени «небесность» божества отходила на второй план и становилась тусклой, пока религиозное мышление более высокого полета в конце концов не сформировало величественный и победоносный образ Святого Георгия.

წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის საქართველოს სულიერი კულტურის ეთნოგრაფიული შესწავლის ჯგუფოფილებამ